სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №378

31 ოქტომბერი 2014 წელი ქალაქი ქუთაისი

ერთის მხრივ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი") ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ნოდარ მიქიაშვილის სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ.№3, ტელ: 24-10-24).

მეორეს მხრივ, შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი", (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის მინდობილი პირის ქეთევან მაღლაკელიძის სახით, (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის №140325452, გაცემის თარიღი: 03.04.2014 წ. თან ერთვის) (იურ/ფაქტ. მისამართი: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №53, ტელ: 598 51 91 78, 551 97 97 42, 0 (431) 25 06 56), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობისა და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, (საკონკურსო განაცხადი №1399. 21.10.2014 წ.) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც აბორიგელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და აბორიგელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ (საკონკურსო განაცხადი №1399) საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქალაქ ქუთაისში ზ. გამსახურდიას ქუჩის მე-3 ჩიხის, ძნელაძის ქუჩის მე-2 და მე-4 ჩიხების და ძნელაძის ქუჩის მე-2 შესახვევის, სოლომონ მეორეს ქუჩისა და წმინდა სამების დამაკავშირებელი, სოლომონ მეორეს ქუჩის მე-2 ჩიხის და მე-4 შესახვევის, დეპოს ქუჩის №2, 4, 6, 8, 10, ახალგაზრდობის გამზირის მე-9 შესახვევის, ბაგრატის ტაძრის ჭიშკრიდან ქეთევან წამებულის ქუჩამდე და ნინოშვილის ქუჩის მე-16 შესახვევის გზების ზეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში (ფასების ცხრილი).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 4750 (ოთხი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განახორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.
4.2 კონტროლი გულისხმობს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის შემოწმებას.
4.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

5.1 „მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 17 (ცვიდმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, 2014 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით.
5.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგინოს 4 (ოთხი) ეგზემპლარად ფერად ტონებში, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ელექტრონული ვერსია. ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.
5.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „მიმწოდებლი“-ს მიერ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტის ფაქტიური დადასტურების შემდეგ.
6.2 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ,,მიმწოდებლი"–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე;
7.2 ,,მიმწოდებლი"–ს წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება,
ბ) მომსახურების გაწევის შესაბამისად ამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურა,
გ) შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი.
7.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.
7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების დადასტურებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია;

9.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით;

9.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

9.3.1 მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

9.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,

9.4.2 განახორციელოს დამუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის საავტორო ზედამხედველობა.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებელი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" გადაიხდის 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარს.

10.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს.

10.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ,,მიმწოდებელი"–ს დაჯარიმების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

10.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება დაუყონებლივ უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს.

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 ადგილობრივი ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი ,,მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი ,,შემსყიდველთან".

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისი ფილიალი
ბ/კოდი: 220101605
ა/ა №33033303
ს/კოდი: 212721170

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ნოდარ მაქარაშვილი

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"
ფაქტ. მის: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №53
ს.ს „პრივატ ბანკი"

ბ/კოდი: CAVOGE22
ა/ა GE39TP0036080020001909
ს/კ 412674921

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს დირექტორის მიწდობილი პირი

ქეთევან ბაღდავაძე

ტექნიკური დოკუმენტაცია

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

ქალაქ ქუთაისში ზ.გამსახურდიას ქუჩის მე-3 ჩიხის, ძნელაძის ქუჩის მე-2 და მე-4 ჩიხების და ძნელაძის ქუჩის მე-2 შესახვევის, სოლომონ მეორეს ქუჩისა და წმინდა სამების დამაკავშირებელი, სოლომონ მეორეს ქუჩის მე-2 ჩიხის და მე-4 შესახვევის, დეპოს ქუჩის №2,4,6,8,10, ახალგაზრდობის გამზირის მე-9 შესახვევის, ბაგრატის ტაძრის ჭიშკრიდან ქეთევან წამებულის ქუჩამდე და ნინოშვილის ქუჩის მე-16 შესახვევის გზების ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

დასაპროექტებელი

ობიექტების ფასების

ცხრილი

№	დასახელება	სავარაუდოზომები	ღირებულება(ლარი)
1	ზ.გამსახურდიას ქუჩის მე-3ჩიხი (ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობა)	729მ.X7მ.	500 ლარი
2	ძნელაძის ქუჩის მე-2ჩიხი(ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობა)	72მ.X4მ.	400 ლარი
3	ძნელაძის ქუჩის მე-4ჩიხი(ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობა)	60მ.X3მ.	400ლარი
4	ძნელაძის ქუჩის მე-2 შესახვევი (ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობა)	85მ.X4მ.	400ლარი
5	სოლომონ მეორეს ქუჩისა და წმინდა სამების დამაკავშირებელი გზა (ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობა)	155მ.X3მ.	450 ლარი
6	სოლომონ მეორეს ქუჩის მე-2ჩიხი(ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობა)	201მ.X4მ.	400 ლარი
7	სოლომონ მეორეს ქუჩის მე-4 შესახვევი (ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობა)	846მ.X5მ.	500 ლარი
8	დეპოს ქუჩის №2,4,6,8,10 (ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობა)	95მ.X5მ.	400 ლარი
9	ახალგაზრდობის გამზირის მე-9შესახვევი (ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობა)	884მ.X7მ.	500 ლარი
10	ბაგრატის ტაძრის ჭიშკრიდან ქეთევან წამებულის ქუჩამდე(ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობა)	240მ.X5მ.	400 ლარი
11	ნინოშვილის ქუჩის მე-16შესახვევი (ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელისმოწყობა)	353მ.X7მ.	400 ლარი
	ჯამი:		4750 ლარი დღგ-ს ჩათვლით

შენიშვნა: სავარაუდო ზომები დაზუსტდება პროექტირების პროცესში.

დავალება დასაპროექტებელ ობიექტებზე

ობიექტის განთავსების ადგილი	ქ.ქუთაისის კერძო სექტორი
ძირითადი მოთხოვნები სავალი ნაწილის აღსადგენად	სავალი ნაწილის კაპიტალური შეკეთება, სავალი ნაწილის პროფილის გასწორება შემასწორებელი ფენით, საჭიროების შემთხვევაში სავალი ნაწილის ძველი საფარის აღება. ა/ბეტონის საფარის სისქის თანამედროვე მმიმე ავტომანქანების დატვირთვაზე გათვლა, საჭიროების შემთხვევაში კიუვეტების მოწყობა ასაკრები წყალმიღებებით. საჭიროების შემთხვევაში ბორდიურების და ტროტუარების მოწყობა ასაკრები ბეტონის ფილებით. გზის საფარის პროფილიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში ტროტუარების მოწყობა.
მოთხოვნები მიწისქვეშა არსებული კომუნიკაციების შესწავლაზე	სავალ ნაწილზე არსებული მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში მათი შეკეთება-გამოცვლის სამუშაოების გათვალისწინება (ნიაღვარსადენი, კანალიზაცია)
საინჟინრო ნაგებობების შესწავლა	მიწის ზედა და მიწის ქვეშა საინჟინრო ნაგებობების შეკეთება (კიუვეტები, ღვარსადენი,მილები)
სხვა დამატებითი პირობები	საჭიროების შემთხვევაში პროექტი შეთანხმდეს მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების (წყალკანალი,ენერგოპრო,კავშირგაბმულობადაგაზი) შესაბამის სამსახურებთან
მშენებლობის ღირებულების განსაზღვრა	მშენებლობის ღირებულება გაანგარიშებული იქნას მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად
მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავება	სამშენებლო სამუშაოების საპიკეტაჟო და მანქანა-მექანიზმების მოთხოვნის უწყისების შედგენა, სამუშაოთა წარმოების კალენდარული გრაფიკი, გრძივი და განივი პროფილების ნიმნულებით და ზომებით (ГОСТ21,511-83, СНиПVI-2-82და სხვა ნორმები).
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	დოკუმენტაცია შესრულდეს ოთხ ეგზემპლარად ფურცელ ტონებში, ელექტრონული ვერსია მოწოდებული იქნას ოთხეგზემპლარად და გადაიგზავნოს ელექტრონუ ლფოსტაზე kutaisisinfrastruktura@gmail.com

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას განვახორციელებთ ხელშეკრულების დადებიდან 17(ჩვიდმეტი) კალენდარულ დღეში.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო–სახარჯთარღიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო–სახარჯთაღრიცხვოდო კუმენტაციის შედგენას განვახორციელებთ ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით შეთანხმდება შემსყიდველთან.

შპს „სამართლებრივი ანალიზისა და

ექსპერტიზის ცენტრის“

დირექტორი: /ნინო მუმლაძე/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
47068797294314

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140325452

რეგისტრაციის თარიღი
03.04.2014 წ

ნოტარიუსი: მერაბ ჯიხვაშვილი
მისამართი: ქ.ქუთაისი თამარ მეფის ქ #62
ტელეფონი: (0431) 25-08-72

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას თოთხმეტი წლის სამ აპრილს, მე, საქართველოს ნოტარიუსს, მერაბ ჯიხვაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქალაქ ქუთაისი, თამარ-მეფის ქ. №62-ში, მომმართა ქალბატონმა ნინო მუმლაძემ (დაბ. 08.08.1988 წელს, ქუთაისში, პირადი №60001106697) რომელმაც განაცხადა რომ არის შპს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს დირექტორი და წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, საიდენტიფიკაციო კოდი: 412674921. მან განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს ქეთევან მაღლაკელიძეს (დაბ. 24.12.1987წ. ქუთაისში, პირადი №60001106667). მან მოითხოვა ამ მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მისი უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდგომ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

2014 წლის სამ აპრილს, მე, ნინო მუმლაძე (მონაცემები მოცემულია ზევით), როგორც შპს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს (ს\ჯ: 412674921) დირექტორი, შემდგომში „მინდობი" უფლებამოსილებას ვანიჭებ ქეთევან მაღლაკელიძეს (მონაცემები მოცემულია ზევით), შემდგომში „მინდობილს" მასზედ, რომ იყოს შპს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"-სწარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, საგადასახადო ინსპექციაში, შემოსავლების სამსახურში, საჯარო რეესტრში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მერიაში, მუნიციპალიტეტებში, აღნიშნულთან დაკავშირებით იგი უფლებამოსილია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით, წესდებითა და წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში, აწარმოოს მოლაპარაკებები ჩემი სახელით, ხელი მოაწეროს საჭირო გარიგებებსა და დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს, მათი შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებში რეგისტრაციის უფლებით. წარადგინოს განცხადებები, საჭირო ცნობები და დოკუმენტები ჩემს ნაცვლად, აწარმოოს ჩემთვის საჭირო ნებისმიერი დოკუმენტის გამოთხოვასა თუ ადდგენასთან დაკავშირებული საქმეები. მიიღოს ჩემთვის განკუთვნილი ნებისმიერი საბუთი (მოწმობები, ცნობები და სხვა) ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად შესაბამის საბუთებს, მათ შორის მიღება-ჩაბარების აქტს, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები, ბაჟები და მოსაკრებელები და შეასრულოს ნებისმიერი ფორმალობა, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსთან მერაბ ჯიხვაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, რომელსაც თან ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

მინდობლმა გადაიხადა საზღაური 10 (ათი) ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება №507 (29.12.2011წ.) მუხლი 31 და მუხლი 31.7, 2 (ორი) ლარი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით ელექტრონულ სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური (მუხლი 39.1), დ.ღ.გ.-ს 1.80 ლარი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა), სულ გადახდილია 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

მიმნდობი:
შპს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს

დირექტორი \ნინო მუმლაძე\

ნოტარიუსი: მერაბ ჯიხვაშვილი